№8 (163) 3 მარტი, 2000. პარასკევის გამოშვება 30 თეთრი

ფანტაზია 2000



# იმენა ამან დანამა

...ალბათ, შეგინიშნავთ, რომ ჩვენი ენის სიწმინდის დაცვის შესახებ მრავალჯერ გამოგვითქვამს გარკვეული მოსაზრებანი. ამასთანვე არასოდეს გვქონია ისეთი ზრახვები, რომ შევეწინააღმდეგოთ ენის განვითარებისა და სრულყოფის შეუქცევად პროცესს და კარი ჩავუკეტოთ უცხოურ ლექსიკას. რა თქმა უნდა, სასაცილო იქნებოდა, მაგალითად, „კომპიუტერისათვის" რაიმე „ხსოვნათმწერალის" ან „ამბავთმეზღაპრის" მსგავსი რამ გვეწოდებინა, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ ამ მანქანის ფლობის თუ მოხმარებისას (ან სხვა ნებისმიერ თანამედროვე საქმიანობის აღსრულებისას) ჩვენი ქმედებისათვის (იმენა!) „ჩალიჩი" დაგვერქმია. ერთი სიტყვით, (იმენა!) იმის თქმა გვსურს, რომ ამა თუ იმ ენის სამეზობლო თანაარსებობისათვის აუცილებელია უცხო ენებთან განუხრელი გაცვლა-გამოცვლის პროცესის ქონა, ოღონდ სიფრთხილე და გონიერებაა საჭირო თითოეული სიტყვის შემოტანისას, რადგან ერთმა ასეთმა ერთეულმა შეიძლება ისე იბარტყოს, რომ მთალდ გადალეკოს ჩვენი მშვენიერი ენის ესა თუ ლამაზი უბანი. მაგალითების მოყვანა (იმენა!) შორს წაგვიყვანდა და მხოლოდ „კაიფს" დავასახელებთ, რომელიც ჩვენს თვალწინ საზიზღარი ქარგონული ყრმიდან უკვე კარგად დაბუდებულ და ნაბარტყ წინაპრად იქცა. ამ პატარა წერილის დაწერა კი იმ კურიოზმა განაპირობა, როცა თავად ჩვენ, ასე თავგამოდებით რომ ვიზიარებთ ენობრივი შეუბღალავობის შეხედულებებს, ამასწინათ მოულოდნელად ასეთი ფრაზა წამოგვცდა – „იაპონურ ნახატს იმენა ნონოგრამა უნდა ერქვას"-ო და ენაზე ვიკბინეთ... ასე რომ, ერთხელაც დავრწმუნდით და გვსურს თქვენც დაგარწმუნოთ, რომ ეს „იმენა-კარიჩევები" ისეთი საზიზღარი სარეველებია, რომლებიც დიდის გულმოდგინებით მომრავლდებიან ნებისმიერი ადამიანის მეტყველებაში, თუკი ოდნავ წავუყრუეთ და თავის ნებაზე მივუშვით... აბა, მერე ნახეთ ჩვენი ამგვარი ამღერება:

„ქუჩუნა წვიმა მოვიდა,
დიდი მინდორი დანამა,
დანამა, დანამა, დანამა...
იმენა ამან დანამა....

ღმერთო, შენ დაგვიფარე!



ანონსი

უახლოეს ნომერში რუბრიკით მსოფლიო კინოს 50 ქალღმერთი წარმოდგენილი იქნება კეტრინ დენევი

ვაგრძელებთ რუბრიკას „მსოფლიო კინოს 50 ქალღმერთი"

(მე-8 გვერდი)

## ნიკოლ კიდმანი

დღევანდელი ნომრიდან ვიწყებთ სენსაციური მასალების ბეჭდვას, რომლების XX საუკუნის გამოჩენილ ადამიანებსა და სკანდალურ მოვლენებს უკავშირდება. პირველი ასეთი ამბავი შეეხება ფილიპინების უკანასკნელი დიქტატორის მეუღლეს, იმელდა მარკოსს, რომელსაც თანამემამულეებმა „ფოლადის პეპელა" უწოდეს

(მე-13 გვერდი)

# თანამედროვე პარადოქსული აფორიზმები

**156. აქციონერები** სულელი და თავხედი ხალხია სულელები – იმიტომ, რომ აქციებს ყიდულობენ, თავხედები კი – იმიტომ, რომ ამ აქციებით დივიდენდების მიღებაც უნდათ.

ფიურსტენმერგი, ფინანსისტი

**157. საბირჟო** კურსი იმაზეა დამოკიდებული, თუ მოცემულ მომენტში ვინ უფრო რა უფრო მეტია: აქციები თუ იდიოტები.

ანდრე კოსტოლანი

**158. ხდება** ხოლმე, რომ ადამიანს ყველაფერი გამოსდის!... ნუ შეშინდებით, ეს წარმავალი რამეა.

ქიულ რენარი

**159. თქვენს** ცხოვრებას აფუჭებენ არა ადამიანები, რომლებთანაც ურთიერთობა გაწყვიტეთ, არამედ ისინი, ვისთანაც ჯერ არ გაგიწყვეტიათ.

ჰარვი მაკკეი

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

№8 (163)



1. სიმეტრიულობისა და თანაბარზომიერების დარღვევა (**5**). 2. სახელმწიფო წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში (**7**). 3. ჰიტლერთან დაახლოებული მაღალჩინოსანი ავიატორი (**4**). 4. კარგლო გოლდონის პიესის ბერგამოელი პერსონაჟი (**8**). 5. სახელმწიფოებრივი დანიშნულების მუსიკალური ნაწარმოები (**2**). 6. მიხაილ გორბაჩოვის მშობლიური ქალაქი (**5**). 7. მისტიური წინასწარმეტყველება ქვეყნის დასასრულის შესახებ (**6**). 8. სიგრძის საზომი ერთეული (**1**). 9. მეტნაკლებად ერთგვარი პირობების მქონე მცენარეთა და ცხოველთა სამყოფი უბანი (**10**). 10. სამაგიდო თამაში, რომელსაც მხოლოდ მაგიდაზე ითამაშებ (დომინო და ბანქო სკამზეც შეიძლება ითამაშო) (**2**). 11. მედიცინასა და ალკოჰოლიზმში ფართოდ ხმარებული სითხე (**2**). 12. ბელადის „სახელობის“ ერთ-ერთი ქალაქი (**4**). 13. უცხო ქალის შიშველ მდგომარეობის ხილვის საშუალება (**4**). 14. ერთი დიდი ქართველი პოეტის ყრმობისდროინდელი სახელი (**5**). 15. ერთგვარი კოდირებული ანბანის შემქმნელი მეცნიერი (**6**). 16. მდინარე გერმანიასა და სლავურ ქვეყნებში გერმანული სახელით (**5**). 17. XIX საუკუნის უდიდესი ამერიკელი მოჭადრაკე (**7**). 18. გაზაფხულის ერთ-ერთი თვის ძველქართული სახელი (**6**). 19. XV საუკუნეში აცტეკების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ბელადი (**8**). 20. ჭეშმარიტებას მოკლებული ანუ როგორი? (**2**). 21. ბიოქიმიის განხრა, რომელიც ნერვული უჯრედის ქიმიურ შემადგენლობას სწავლობს (**9**). 22. ვინ არის ამ სტრიქონების მთარგმნელი

**Когда на суд безмолвных, тайных дум**
**Я вызываю голоса былого,**
**Утраты все приходят мне на ум,**
**И старой болью я болею снова.(9).**

23. XIX საუკუნის დიდი გერმანელი კომპოზიტორი (**7**). 24. უცხოეთში გადახვეწილი (ნორმალური) ადამიანის მთავარი შემწუხებელი გრძნობა (**4**). 25. ქალაქი მაკედონიაში თავისივე სახელობის ტბის ნაპირზე (**9**). 26. ქალაქ ტარტუს სახელი 1919 წლამდე (**8**). 27. იხილეთ ფოტო და გაიხსენეთ ამ დიდებული მომღერლის სახელი (**7**). 28. ცოცხალ უჯრედში წარმოქმნადი ორგანული ნივთიერებამ რომელიც ხელს უწყობს ქიმიური რეაქციების აჩქარებას (**7**). 29. დიპლომატიური პირი (**2**). 30. ჭურჭელი გაზის ან ორთქლის დასაგროვებლად (**10**). 31. თბილისის ერთ-ერთი საწყალოსნო არტერია (**3**). 32. ჯიუტი და დაუმორჩილებელი ანუ როგორი? (**4**). 33. რუსი მსახიობი და რეჟისორი, ალისა ფრეინდლიხის მეუღლე (**7**).

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | | 18 | |
| 2 | | 19 | |
| 3 | | 20 | |
| 4 | | 21 | |
| 5 | | 22 | |
| 6 | | 23 | |
| 7 | | 24 | |
| 8 | | 25 | |
| 9 | | 26 | |
| 10 | | 27 | |
| 11 | | 28 | |
| 12 | | 29 | |
| 13 | | 30 | |
| 14 | | 31 | |
| 15 | | 32 | |
| 16 | | 33 | |
| 17 | | | |



**02-30** ქულა – კეთილი იყოს თქვენი მობრძანება.
**31-70** ქულა – მე-2 თანრიგი.
**71-110** ქულა – 1-ლი თანრიგი.
**111-140** ქულა – ოსტატი.
**141-175** ქულა - კროსმაისტერი.
**175-183** - ბრავო, მაესტრო!
**185** ქულა – კროსვორდი თქვენ შეადგინეთ?!

*პასუხები მე-9 გვერდზეა*



## ბავშვობა

1. მოვლენა იმისა, რომ მოწიფულ ასაკშიაც ბავშვური ნიშანთვისებები შეინარჩუნო.

2. ე.წ. „დასავლეთის სამყაროში“ გავრცელებული ბავშვთა მოძრაობა.

3. ცნობილი ქართველი საბავშვო კომპოზიტორი, ქალბატონი მერი.

4. ე.წ. „დასავლეთის სამყაროში“ ბავშვების საყვარელი გასართობი ადგილი.

5. ბავშვების საყვარელი მულტსერიალის, „აბა, დამაცადე!“-ს, ერთ-ერთი შემქმნელი.

6. დიდებული ქართველი საბავშვო პოეტი.

7. ბავშვებთან დაკავშირებული სამკურნალო დარგი მედიცინისა.

8. არეულობისა და ხმაურის აღმნიშვნელი ქართული სიტყვა, რომელიც დღეს ყველა ბავშვმა იცის.

9. ჯანი როდარის ზღაპრის ცნობილი პერსონაჟი ბიჭუნა.

10. ბავშვების საყვარელი სატელევიზიო ჟურნალი.

11. ქართველი მსახიობი, რომელმაც ბავშვის როლის თამაშით გააცნო ყველას თავი, ახლახანს კი ბავშვის ნატრული ქალის როლი ითამაშა.

12. ჩვენი ბავშვების საყვარელი რადიოგადაცემა.

13. ძველი თაობის შესანიშნავი ქართველი მსახიობი ქალბატონი, მოზარდ მაყურებელთა თეატრში ბიჭუნების როლების უბადლო შემსრულებელი.

14. მხოლოდ ბავშვების თავშეყრასთან დაკავშირებული აკუსტიკური ეფექტი.

15. ბავშვები საყვარელი დევი ერთი ქართული მულტიპლიკაციური ფილმიდან.

16. ტიტული, რომელსაც ვერ დაიმსახურებ უშვილოდ.



# აფორიზმების ანთოლოგია

## პარადოქსული აფორიზმები

**160. რწმენა** იმისა, რომ ბრიყვები ვერ აზროვნებენ, ოპტიმიზმის ყველაზე სახიფათო ფორმაა.

დანილ რუდი

**161. შევნიშნავთ**, რომ ბრძნულ აზრებს მაშინ ვაქცევთ ყურადღებას, როცა ვინმე მის ციტირებას ახდენს და არა მაშინ, როცა ავტორთან ვკითხულობთ

ფილიპ ჰამერტონი

**162. სნავლის** წლები უნაყოფოდ უნდა ჩაითვალოს, თუ ვერ დარწმუნდი იმაში, რომ მასწავლებელთა უმრავლესი ნაწილი იდიოტია.

ჰესკეტ პირსონი



**163. ქალებს** ლაპარაკი რომ შეეძლოთ, ისინი ასე ჭკვიანებად აღარ მოგვეჩვენებოდნენ.

უცნობი ავტორი

**165. თუ** შენი სიტყვების ციტირებას ახდენენ – შენ უკვე რაღაცას წარმოადგენ; თუ შენს ნაშრომებს იპარავენ – შენ გამოჩენილი ადამიანი ხარ, მაგრამ ჭეშმარიტი დიდება შენთან მოვა მაშინ, როცა შენ სხვის სიტყვებს მოგაწერენ.

უცნობი ავტორი

**166. თუ** ადამიანს არ აქვს იუმორის გრძნობა, მას ის გრძნობა მაინც უნდა ჰქონდეს, რომ არ აქვს იუმორის გრძნობა.

უცნობი ავტორი

**167. თუ** მეცნიერს არ შეუძლია რვა წლის ბავშვს აუხსნას ის, თუ რა მეცნიერებას მისდევს, ესე იგი ის შარლატანია.

კურტ ვონეგუტი

**168. როცა** თანამშრომელთა რაოდენობა ათასს აჭარბებს, დაწესებულება საკუთარ თავში იკეტება და გარესამყარო რაღაც ილუზორულ ცნებად იქცევა.

სირილ ნორთკოტ პარკინსონი

**169. არსებობს** უცოლო მამაკაცების ორი სახეობა: ერთნი მეტისმეტად სწრაფები არიან და მათ ვერავინ იჭერს, მეორენი კი მეტისმეტად ზანტები არიან და მათი დაჭერა არ ღირს.

უცნობი ავტორი

**170. ქალები** ყურადღებას აპყრობენ არა ლამაზ მამაკაცებს, არამედ ლამაზქალებიან მამაკაცებს.

მილან კუნდერა

**171. არსებობს** ორი თანაბრად მომგებიანი პოზიცია: ან ყველაფერი უნდა ირწმუნო, ან ყველაფერში უნდა დაეჭვდე... ერთიც და მეორეც მოგვიხსნით ფიქრის აუცილებლობას.

ანრი პუანკარე

**172. ქალები** ბავშვებივით არიან და „არას" თქმა უყვართ; მამაკაცებიც ბავშვებივით არიან – მათ სერიოზულად სჯერათ ეს „არა".

იანინა იპოხორსკაია

**173. როცა** მოწიფულ ასაკში ღირსებები არ გააჩნიათ, სკოლისდროინდელი წარმატებებით იწონებენ თავს.

უცნობი ავტორი

**174. როცა** შენს კითხვაზე ფილოსოფოსი პასუხობს, გავიწყდება – რა ჰკითხე.

ანდრე ჟიდი

**175. ვინც** იცის, არ ლაპარაკობს, ვინც ლაპარაკობს – არ იცის.

მიტჩის მაკლურის ჩუხლემიდან

**176. ვისაც** შეუძლია, აკეთებს, ვისაც არ შეუძლია, ასწავლის; ხოლო ვისაც არც შეუძლია და ვერც ასწავლის, მასწავლებლების მასწავლებელია.

ლორენს პიტერი

**177. რეჟისორი** არის ადამიანი, რომელსაც სამსახიობო საქმეში არ გაუმართლა, მსახიობი კი არის ადამიანი, რომელსაც ცხოვრებაში არ გაუმართლა.

გუსტავ ბოლომოვი

**178. ქვეყნიერება** მეტად პატარაა და ბოლოსდაბოლოს ჩვენ ერთმანეთს ლოგინში ვხვდებით.

ბრიჯიტ ბარდო

**179. ბევრ** მამაკაცს აქვს „მტკიცე ნებისყოფა" და.... მეტი არაფერი.

უცნობი ავტორი.

**180. სასიკვდილო** სარეცელზე ერთადერთი ნუგეში ის არის, რომ სიცოცხლის აღარ გეშინია.

უცნობი ავტორი

**181. ყველა** ქალს ვერ მოისიყვარულებ, მაგრამ ამისკენ უნდა ისწრაფვოდე.

ჟორჟი ამადუ

**182. ერთნი** იღებენ იმას, რაც დაიმსახურეს, მეორენი კი უცოლოები რჩებიან.

საშა გიტრი

**183. ერუდირებული** ადამიანი ცოდნის რეზერვუარია და არა იდეების შადრევანი.

ჯეიმს ნორთკოტი

## ჩვენ გვირეკავენ და გვთხოვენ ავუხსნათ იაპონური ნახატის (ნონოგრამის) შევსების პრინციპი. შევეცდებით კიდევ ერთხელ, მაგალითების საშუალებით, განვმარტოთ ეს:

1. პირველ ნახაზზე ნაჩვენებია ნონოგრამის საწყისი ცარიელი ბადე. ჯერ დავაკონკრეტებთ ნონოგრამის არსს: ცარიელი ბადის გვერდზე და ზევით მათი გაფერადობის რიგითობით მოცემულია იმ გასაშავებელი უჯრების რაოდენობა, რომლებიც საბოლოო ჯამში მოგვცემენ რაღაც ნახატს. ასე მაგალითად, მეორე ვერტიკალზე მოცემული რიცხვები – 2-2-1 – ნიშნავს იმას, რომ ამ ხაზზე უნდა გაფერადდეს გვერდიგვერდმდგომი 2-2 უჯრა და კიდე 1, ამათ შორის კი აუცილებლად უნდა იყო მინიმუმ ერთი ცარიელი უჯრა მაინც (ფაქტიურად ეს არის ფორმულა სადაც უცნობის როლში ცარიელი უჯრები გამოდის და მათი პოვნით იქმნება ნონოგრამა). ნახაზის მუქი ხაზები არაფერს ნიშნავს და მხოლოდ დამხმარე საშუალებაა დიდ ნახაზებზე ადვილად თვლისა



2. პირველი და მთავარი ისაა, რომ მოიძებნოს მაქსიმალურად დიდი რიცხვები ამა თუ იმ ხაზზე. ჩვენს ნახაზზე ასეთია მე-6 ჰორიზონტალის „10"-იანი, რაც ნიშნავს, რომ ამ ხაზზე ათივე უჯრა უნდა გაფერადდეს. აქვე, მე-4-5 ხაზებზე არის ორი ცხრიანი, ანუ თითოეულ მათგანზე ცხრა-ცხრა უჯრაა გასაფერადებელი... მაინც რომელი ცხრა – მარცხენა კიდიდან დაწყებული თუ მარჯვნიდან? ჩვენ ეს არ ვიცით, ამიტომ ამ კიდურა უჯრებს დროებით ცარიელს ვტოვებთ და ვაფერადებთ მათ შორის მოთავსებულ 8 უჯრას, რომლებიც ნებისმიერ შემთხვევაში გასაფერადებელია.



3. ახლა უკვე ნახატის გაგრძელების მრავალი ვარიანტი არსებობს. ანუ – თუნდაც პირველ და მეორე ვერტიკალებს შევხედოთ, სადაც მოცემული 1 და 3 უჯრა უკვე გაფერადებულია, ე.ი. დანარჩენები ცარიელია და ის უჯრები გადავხაზოთ.

ახლა უკვე თავისთავად გაირკვა მე-4-5 მეხუთე ჰორიზონტალის „ცხრიანების" ბოლო კიდური უჯრის მდებარეობა, ისინი ბოლოშია მოთავსებული... მე-4 ვერტიკალი კი, სადაც „7"-იანია დასმული, იმას გვეუბნება, რომ სულ არსებული რვა უჯრიდან ცენტრალური ექვსი ყველა შემთხვევაში გასაფერადებელია.



4. ნახაზის ძირითადი ქარგა აგებულია. დავიწყოთ თვლა: მე-3 ჰორიზონტალზე ერთი ცალი „1"-იანი მიღებულია და დავუსვათ აქეთ-იქით „იქსები". ამ „იქსებმა" მე-3 ვერტიკალის „5"-იანი გამოკვეთეს. მე-5 და მე-6 ვერტიკალების „3"-იანებიც მიღებულია (დავუსვათ „იქსები"). ამან ისიც გაარკვია, რომ მე-5 ვერტიკალზე „2"-იანი თავშია და არა ბოლოში. ეს თავის მხრივ მე-2 ჰორიზონტალის პირველი „2"-იანის აღმომჩენი გახდა, რასაც თავისთავად მე-8 ჰორიზონტალის პირველი „2"-იანის" ადგილმდებარეობის გარკვევა მოჰყვა...



5. მე-4 ვერტიკალის „7"-იანის თავში „იქსის" დასმა კი 1-ლი ჰორზონტალის საწყის უჯრას გვაპოვნინებს... გადავთვალოთ ექვსი უჯრა და გავაფერადოთ! ეს უკვე ფინიშის სწორზე გასვლის მომასწავებელია, რადგან, კიდურა ხაზზე გაფერადებული უჯრების პოვნა იქიდან დაშვებული ფერადი უჯრების რაოდენობის პოვნას ნიშნავს და ეს უკვე საქმის დასასრულია; მიყევით და გაავაფერადეთ...



6. იმედია დანარჩენი უჯრების გაფერადება აღარ გაგიჭირდებათ, რაც საბოლოო ჯამში რაღაც მანქანის მსგავს ნახატს მოგვცემს.



...პრინციპი, ალბათ, გაიგეთ. რაც თანდათანობით თქვენს საკუთარ ტაქტიკას გამოგამუშავებინებთ და შეძლებთ ისეთი საშუალო ზომის ნახატების ამოხსნას, რომელიც არა უმეტეს 30 ჰორიზონტალს და ვერტიკალს შეიცავს, უფრო დიდი ნახატების ამოხსნა კი დიდ გამოთვლებს, მოთმინებასა და დროის მოითხოვს... ამასობაში კი შეიძლება სინათლეც მოვიდეს...

**თარაზულად:** 1. მინერალი, რომელიც მინის საჭრელადაც გამოიყენება. 4. ა.პ.ჩეხოვის მშობლიური ქალაქი. 8. დანაშაულის გამოაშკარავება ანუ რა? 11. ქიმიური ელემენტის უმცირესი ნაწილაკი. 18. ფერადკანიანთა იძულებითი გამოყოფა თეთრკანიანებისაგან. 19. რაიმე დაავადების შედეგად სხეულის ღრუში დაგროვებული სითხის ან ჰაერის ამოტუმბვა. 20. *გამოწმებთ თქვენს მეხსიერებას:* ვინ იყო ის მეკარე, რომელსაც დარასელიამ 1981 წლის 13 მაისს გადამწყვეტი გოლი გაუტანა? 23. ქალაქი ჩრდილო კავკასიაში მდინარე ყუბანზე. 24. ვენეციელი მენავეების სიმღერა. 25. იტალიის კულტურის ისტორიაში მე-14 საუკუნის სახელწოდება. 29. მიწების ხელოვნური რწყვის ღონისძიებათა სისტემა. 30. XX ს რუსი მწერალი, ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვ"-ის მთავარი რედაქტორი წლების განმავლობაში. 31. მსუბუქი ჟანრის, ე.წ. „მცირე ფორმების" თეატრი. 32. დოდო ჭიჭინაძის ერთ-ერთი პირველი როლი კინოში. 36. სხეულის ან მისი ორგანოს ერთი ნახევრის ატროფია. 37. სიტყვა, რითაც კონკრეტული ადგილის უქონლობას გამოვხატავთ.



38. ცნობილი ფრანგი კინოკომიკოსი. 43. ძველბერძნული ქალაქი-სახელმწიფო. 44. ირანის ცნობილი შაჰი 1736 წლიდან. 45. რუსული თამბაქოს სახესხვაობა. 46. დამკვირვებლის ქმედების ერთი სახესხვაობის აღმნიშვნელი სახელმზმნა. 51. ამერიკის ფაუნის ერთ-ერთი ყველაზე საშიშო მტაცებელი. 52. ბევრი ქაღალდი. 53. ნამუშევარი პროდუქტებისათვის თავდაპირველი თვისებების აღდგენა. 54. 60-70-იანი წლების ქუთაისის „ტორპედოსა" და თბილისის „დინამოს" ცნობილი ფეხბურთელი. 58. ტბა ალასკის სამხრეთ ნაწილში. 59. პუშკინის ერთი მშვენიერი ლექსის ადრესატი. 60. „აკრძალული" ნაბეჭდი პროდუქციის სახესხვაობა. 61. იტალიური მსუბუქი ავტომობილი. 66. ქონების შეფასების ღონისძიება. 67. სიახლის მანიშნებელი ერთ-ერთი სიტყვა. 68. შინაური ცხოველის ნაშიერი. 69. მოხარშული ცომის სახესხვაობა. 70. XIX-XX სს ზღვარზე მოღვაწე რუსი მხატვარი. 75. ქალაქი, სადაც გარსია მარკესის „მარტოობის ასი წელის" პერიპეტიები მიმდინარეობს. 76. ესტრადაზე მოღვაწე ცნობილი თანამედროვე მევიოლინე (სახელი და გვარი). 77. მეგრული წარმოშობის გვარი, რომელშიც სამგლოვიარო ატრიბუტის მანიშნებელი სიტყვა იკითხება. 82. ამა თუ იმ ერისათვის დამახასიათებელი ადათ-წესების გამაერთიანებელი ცნება. 83. უარყოფითი პერსონაჟი (ძველი გაგებით) რომანისა „კოლხეთის ცისკარი" (სკოლაში გაქვთ ნასწავლი, უფროსი თაობის წარმომადგენლებო). 84. აღმოსავლურქართული წარმოშობის გვარი, რომელშიც შელახული ღვინის აღმნიშვნელი სიტყვა იკითხება. 88. კაცი, რომელიც ერთ სიმღერაში გვარწმუნებს, რომ მისი ქმედებით სხვას ხელი არ ეშლება. 89. ფაშისტების მხარეზე გადასული პირების საერთო სახელი უკრაინა-ბელორუსიაში მეორე მსოფლიო ომის დროს. 90. რთული არქიტექტურული პროფილის დეტალი, რომელსაც ლილვაკის სახე აქვს. 91. უფროსი თაობის წარმომადგენლებს ეხსომებათ – სადაური ლაბადები იყო მოდაში ჩვენთან 60-იან წლებში? 95. სამკურნალო პრეპარატთა ერთი კატეგორიის საერთო სახელი. 96. ქიმიური ელემენტი. 97. მოკრძალება-პატივისცემის გამაერთიანებელი ცნება. 98. გარეული მტაცებელი ფრინველი. 103. ჩრდილოკავკასიელ მთიელთათვის სასურველ კაცის „ტიტული". 104. იგივე ძალოსანი. 105. ლითონთა შენადნობი, რომელიც დაჯილდოებისას გამოიყენება. 106. მოლდავეთის მთავარი საფეხბურთო კლუბის ძველი სახელი. 110. სანიმუშოდ შერჩეული ეკზემპლარი. 111. საჭადრაკო დებიუტის სახესხვაობა. 112. ადამიანი, რომელიც სხვისთვის მოხსენებების მომზადებითაა დაკავებული. 117. 70-იანი წლების კიევის „დინამოსა" და სსრკ ნაკრების ფეხბურთელი, ნახევარმცველი. 118. პერსონაჟი ერთი ბალზაკისეული მოთხრობისა, რომლის სახელი ნაწარმოების სათაურშიც მოიხსენიება. 119. მორალური კატეგორია. 120. ტოპონიმი, რაც რუსულ სინამდვილეში ხის ნაკეთობების მოხატვას უკავშირდება. 125. რას შვება ქარი? 126. დიდი ავსტრიელი კომპოზიტორი. 127. 40-50-იანი წლების პოპულარული საბჭოელი ესტრადის მომღერალი. 128. ტუალეტისა და პირადი ჰიგიენისათვის გამოყენებული სხვადასხვა წვრილმანი. 132. ბუნებრივი რეგიონი შვედეთის ჩრდილოეთ ნაწილში. 133. ადამიანი-ღამურა. 134. XX საუკუნის ცნობილი არგენტინელი მწერალი. 135. ფართობის გასამიჯნავი საშუალება. 140. როგორია ჩვეულებრივი, არასადღესასწაულო და არადასვენების დღე. 141. ცნობილი თანამედროვე მსახიობი ქალი ჰოლივუდიდან (...ახლახანს გავიგეთ – წარმოშობით სომეხი ყოფილა). 142. აკუსტიკური აპარატის შემადგენელი ნაწილი. 143. XVIII-XIX საუკუნეების ავსტრიელი კომპოზიტორი. 147. კომპიუტერის ძირითადი შემადგენელი ნაწილი. 148. შუალედი ანუ რა? 149. ლეილა აბაშიძის ერთ-ერთი კინოროლი. 154. პერსონაჟი ტრაგედიისა „რომეო და ჯულიეტა". 155. XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში ცარიზმის მიერ გატარებული სადამსჯელო ღონისძიების სახესვაობა. 156. მწარედ და გესლიანად დამცინავი ანუ როგორი? 157. მოსაზრებათა მოხმობა რისამე დასამტკიცებლად. 158. რომის ცნობილი ნაგებობა. 159. ის, რაც უნდა გააჩნდეს ყოველ ღირსეულ ადამიანს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

**შვეულად**: 1. ძირითადი რამ ანუ რა? 2. გადაადგილების სახესხვაობა. 3. ქალაქი მთიან ყარაბახში. 5. თანამედროვე აზერბაიჯანის ლიდერი. 6. ქალაქი ბულგარეთში. 7. თითის გატარება სრიალით ფორტეპიანოს კლავიატურაზე. 9. ასაკოვანი ანუ? 10. 80-იანი წლების ცნობილი რუსი ჰოკეისტი. 12. თანამედროვე რუსული ესტრადის მოღვაწე (პოეტია თუ კომპოზიტორი არ გვახსოვს, ის კი ვიცით, რომ მიხეილი ჰქვია). 13. ზეთი, კვერცხის გული, ძმარი, მდოგვი, სანელებლები... რა მიიღება? 14. სასახლის კარისკაცთა ჯგუფი, რომელიც თავისი ინტრიგებით გავლენას ახდენს სახელმწიფო საქმეებზე. 15. ლამაზი და მოხდენილი ტანის მქონე ანუ როგორი? 16. მცირეალკოჰოლური მადისაღმძვრელი სასმელი. 17. ხელზე მკითხაობის სპეციალისტი. 21. პორტის საზღვრებში მოქცეული წყლის სივრცე. 22. ვარაუდისა და შესაძლებლობის მანიშნებელი სიტყვა. 26. ქალაქი სანქტ-პეტერბურგის ოლქში. 27. XX ს 20-იანი წლების ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე აკიბა კიველევიჩი. 28. ქალაქი აშშ-ს ვისკონსინის შტატში. 33. ქალაქი აშშ-ს ჯორჯიის შტატში. 34. ქალაქი ესპანეთში. 35. ბრუნება-უღვლებისა ფორმანტები. 39. კონდიტერული ნაწარმი. 40. გაიხსენეთ გამოტოვებული სიტყვა: აბუ რეიჰან მუჰამედ იბნ ......... ალ-ბირუნი. 41. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ცხენი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიიდან. 42. XIX საუკუნეს ქართველი მწერალი. 47. *გამოწმებთ თქვენს მეხსიერებას:* იყო ასეთი ფილმი „განგა და...... (ვინ?)". 48. ორგანიზმისათვის აუცილებელ ნივთიერებათ გამომუშავება და გამოყოფა ჯირკვლების მიერ. 49. XVIII-XIX სს ფრანგი სოციალისტი ავტორი თეორიისა „მსოფლიო ერთიანობის" შესახებ. 50. ეთიკის მიმდინარეობა, რომლის თანახმადაც ცხოვრების უმთავრეს მიზანს სიამეთა მიღება წარმოადგენს. 55. სასქესო ჯირკვლების ამოკვეთა. 56. ქვედა კიდურის ნაწილი. 57. მაამებელი სიტყვა. 62. იტალიური ხალხური ცეკვა. 63. **იხილეთ ფოტო** და გაიხსენეთ ეს პერსონაჟი. 64. რომის იმპერატორი 161 წლიდან. 65. ქართული ცეკვის უდიდესი მოამაგე. 71. რა ახასიათებს ქართულ სიმღერას? 72. სპორტული ნავი. 73. რისამე ადგილსამყოფელის დამდგენი ხელსაწყო. 74. თავისუფალი ანუ როგორი? 78. ათენის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული ძეგლი. 79. რუსი კინორეჟისორი, რომელმაც გ.დანელიასთან ერთად ფილმი „სერიოჟა" გადაიღო. 80. ძველი სახელი შენობისა, რომელსაც თავს აფარებდა საქართველოს პარლამენტი რამოდენიმე წლის განმავლობაში. 81. „ბარსელონას" ჰოლანდიელი ლეგიონერი. 85. სოკოს საწინააღმდეგო პრეპარატ. 86. მთხრობელობითი ლიტერატური ჟანრი. 87. ამ დასახელების კინოთეატრი ერთდროს თბილისში, ТЕМЗ-ის დასახლებაში იყო. 92. საცეკვაო დაწესებულება. 93. ფასიანი ქაღალდი. 94. პიგმალიონის მიერ შექმნილი მშვენიერი ქალის ქანდაკება. 99. ლექსი, რომლის სტრიქონების თავკიდური ასობი რაღაც სიტყვას გვაძლევენ. 100. სამხედრო-ადმინისტრაციული ორგანო. 101. გარკვეულ ნიშანთა და რიცხვთა სპეციალური ერთობლიობა. 102. „ცხელი იარაღის" სახეობა. 107. ორგანიზმების ერთობლიობა, რომლებიც წყალში ბინადრობენ და დინების ნებასურვილით გადაადგილდებიან. 108. ძლიერი მომწამლავი ნივთიერება. 109. თანამედროვე ქარ[illegible]ული გაზეთი. 113. გაზაფხულის ყვავილი. 114. თანამედროვე კინოს და მოდელირების ცნობილი ვარსკვლავი, სამანტა...... 115. გააგრძელეთ რიგი: გაბროვო–ქუთაისი–???????. 116. ფედერიკო ფელინის ფილმი. 121. ქალაქი კანადაში, პორტი ატლანტის ოკეანეზე. 122. განუწყვეტლივ გაგრძელებადი, მუდმივი ანუ? 123. ზამთრის სატრანსპორტო საშუალება. 124. კომუნისტების მსოფლმხედველობა. 129. გადატანითი მნიშვნელობის ანუ როგორი? 130. პირველი როლი ელენა პროკლოვასი (იგივე „ლარისა ივანოვნა") ერთ ფილმ-ზღაპარში. 131. არაარსებითი, მოჩვენებითი ანუ როგორი? 136. მიწისზედა მცენარეების ქსოვილი, რომელიც ატარებს წყალს და მინერალურ მარილებს ფესვებიდან ფოთლებისაკენ. 137. რა სჭირდება მატა[illegible]ებლების მოძრაობას? 138. ფეთქებადი ნივთიერების ფორმა. 139. ცნობილი ქართველი მწერალი ქალი, მარიამ.... 144. ჩვენი განედების ხე. 145. ავტორი რომანისა „შარლ IX-ეს მეფობის ქრონიკები". 146. სრული დამარცხება. 150. ისტორიული რეგიონი კახეთ-მთიულეთის საზღვარზე. 151. მედეა ჯაფარიძის ერთ-ერთი პირველი როლი კინოში. 152. .... უანდერიც და ბევრი სხვა ამერიკელიც. 153. XIX საუკუნის ფრანგი კომპოზიტორი.

**შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა**



# ფანტაზიორი

*ინტელექტუალური ტესტი*
რუბრიკას უძღვება
ვახტანგ ელერდაშვილი
პასუხები – მე-12 გვერდზე




## სამი კითხვა ინტელექტუალებისათვის (V ტური)

კითხვა №1

საბჭოური ეპოქის ანეკდოტი:

მიმდინარეობს კრება, სადაც მომხსენებელი გრძელ და მომაბეზრებელ სიტყვას წარმოთქვამს. დგება ერთი ქალი – „თუ შეიძლება, გამიშვით, სახლში ბავშვი მელოდება". თავმჯდომარე – „წადით!" ცოტა ხანში დგება მეორე ქალი – „თუ შეიძლება, გამიშვით, სახლში ბავშვი მელოდება". თავმჯდომარე – „წადით!"

...დგება მესამე ქალი. თავმჯდომარე – „თქვენც ბავშვი გყავთ?!" ქალი – „არა, მაგრამ....

**რა – „მაგრამ..."? (5 ქულა)**

კითხვა №2

ცნობილ რუს მსახიობს ანატოლი პაპანოვს დიდ პატრიოტიზმთან ერთად მოჭარბებული იუმორის კრძნობაც გააჩნდა. ერთხელ, აშშ-ში მოგზაურობისას მან და მისმა მეუღლემ ერთ დოლარად ერთი ლვეზელი შეიძინეს. ცოლი – „ტოლია, ხედავ, ერთი დოლარი ღირს?! ჩვენთან კი ასეთ ლვეზელს ხუთ კაპიკად იყიდი". პაპანოვი – „რა თქმა უნდა, ასეა... ოღონდ ნუ დაგავიწყდება, რომ....

**რა – „რომ...."? (12 ქულა)**

კითხვა №3

იტალიის ქალაქ ლივორნოს მცხოვრებნი, რომლებიც ტურისტების ნაკლებობის გამო მატერიალურ სიდუხჭირეს განიცდიან, ოცნებობენ იმ დღეზე, როცა მათს მეზობელ ქალაქში დატრიალდება ის უბედურება, რასაც საუკუნეების განმავლობაში ელიან...

**რა ტრაგედია იგულისხმება (8 ქულა).**

კითხვა №4

1962 წლის დეკემბერში ჰავრის პორტში ელოდნენ უცნობ ქალბატონს, რომელიც ამერიკაში აპირებდა გამგზავრებას; მისთვის მომზადებული იყო ყველაზე კომფორტაბელური კაიუტა, რომელსაც გაძლიერებული დაცვა ეყოლებოდა. მალე სამი ჯავშნოსანის თანხლებით ავტომობილმა აღნიშნული მგზავრი მოიყვანა. თვითმხილველთა აზრით, ის ქალბატონი ამერიკამდე ჩასვლამდე ყველას უღიმოდა, თუმცა ბევრს არ ჰქონია ბედნიერება მასთან შეხვედრისა...

**ვინ იყო ეს იდუმალი მგზავრი? (7 ქულა).**

კითხვა №5

მთელ მსოფლიოს ჰგონია, რომ ეს სიტყვა ჩინური წარმოშობისაა. სინამდვილეში კი ეს სიტყვა 20-იან წლებში მასთან დაკავშირებული ცნებისათვის დამახასიათებელი ხმის მიბაძვით შექმნეს ინგლისელებმა. ამ სიტყვას ჩვენც ხშირად ვხმარობთ ხოლმე, როცა „მოძრავი გართობა" გვწადია, თუმცა ოფიციალურად ამ „გართობას" ორსიტყვიანი სახელი ჰქვია...

**რა იგულისხმება? (9 ქულა)**

კითხვა №6

აფრიკულ სპილოს 1,5 მეტრიანი აქვს, ინდურს – 0,5 მეტრიანი, ჩვენებურ მელაკუდას 15 სანტიმეტრიანი; ერთ მატაცებელს ის საშუალო ზომის აქვს, თუმცა ერთხელ ერთი სუბიექტი დაინტერესდა იმით, თუ რატომ აქვს უკანასკნელად ხსენებულ იმ მტაცებელს „ის" ზომაზე დიდი?

**ვინ დაინტერესდა ხსენებული „რამით"? (9 ქულა)**

კითხვა №7

ოფიციალური ინფორმაციის თანახმად ამ პიროვნებას 3 და და 2 ძმა ჰყავდა. თუმცა ერთხელ, ერთი პოეტის მცდელობით, მას კიდევ ერთი ძმა შეეძინა და თანაც ტყუპისცალი....

**რა სახის „ტყუპისცალი" შესძინა პოეტმა იმ პიროვნებას? (8 ქულა)**

კითხვა №8

ერთხელ საფრანგეთის ერთ კლინიკაში თავის ტკივილებით შეწუხებული ავადმყოფის თავის ქალის რენტგენოსურათზე ექიმებმა ე.წ. „ატვიორტკა" აღმოაჩინეს...

**როგორ „განკურნეს" ექიმებმა ის ავადმყოფი? (7 ქულა)**

კითხვა №9

ყველასათვის ცნობილია ჩვენი თანამედროვე ჟარგონის ერთი გამოთქმა – „როჟა შეკერა"... მეტსაც გეტყვით, ჩვენი სიყვარული ჟარგონის მიმართ იმ ზომამდე მივიდა, რომ თანამედროვე მსოფლიოში გავრცელებულ ერთ სუპერთანამედროვე პროფესიას ერთ ჩვენს „გამოცემაში" ამგვარი განმარტება მოუძებნეს – „როჟების მკერავი".

**რა პროფესია იგულისხმება (11 ქულა)**

კითხვა №10

არავინ იცის, მართალია ეს თუ ტყუილი, მაგრამ ამბობენ, რომ „მზესუმზირების" მოყვარული ამ პიროვნების ვინაობა ერთ ჩვენს გამოცემაში ასე გაიშიფრა – „გოგი პირველი"

**ვინ იყო ეს „გოგი"? (7 ქულა)**

კითხვა №11

საბჭოურ ეპოქაში ერთი ასეთი მოარული ხუმრობა არსებობდა, რომ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს შეუძლია ისურვოს და გახდეს ყველანაირი გმირი, რაც კი საბჭოურმა სინამდვილემ შექმნა... გარდა ერთისა!

**...რომლის (8 ქულა)**

კითხვა №12

პირველი მათგანით ცნობილია ძველი ინგლისის ყოფა, მეორე მათგანი აქვს თითქმის ყველა სატრანსპორტო საშუალებას...

**გაიხსენეთ პოპულარული სუბიექტი, რომელმაც შეძლო ორივე მათგანის გაერთიანება საკუთარ თავში... (9 ქულა)**

### შევაჯამოთ ქულები

**20** ქულამდე – ეს მხოლოდ დასაწყისია!...

**21-35** ქულა – თქვენი ცოდნა გარკვეულ სრულყოფას საჭიროებს.

**36-50** ქულა – თქვენი ცოდნა და ინტუიცია ჰარმონიაშა მოსაყვანი.

**51-70** ქულა – თქვენი ცოდნის უკან სათანადო ინფორმაციული მხადაჭერა არ დგას.

**71-80** ქულა – ჩვენ ვამაყობთ, რომ ასეთი მკითხველები გვყავს.

**81-94** ქულა – დიდებული შედეგია! მიიღეთ მონაწილეობა ინტელექტუალურ თამაშებში.

**95-100** ქულა – გეთანხმებით, რომ ძნელი კითხები იყო და პასუხების ნახვა აუცილებელია!

*გთავაზობთ სამ კითხვას. გამარჯვებისათვის საჭიროა სამივეზე ზუსტი პასუხის გაცემა. ერთი ტურის საპრიზო ფონდია 10 ლარი, ორი და მეტი გამარჯვებულის არსებობის შემთხვევაში ეს თანხა მათს რაოდენობაზე გაიყოფა, ხოლო თუ ვერავინ გაიმარჯვა, თანხა ჯეკ-პოტის სახით შემდგომ ტურში გადავა. მე-5 ტურის პასუხები მიიღება გაზეთის გამოსვლის მესამე დღეს, კვირას, 5 მარტს, 16-დან 18 საათამდე ტელეფონით 79-53-70.*

### მეოთხე ტურის შედეგები

სწორი პასუხებია: **1. ასანორი. საფასურს წონის მიხედვით იხდიდნენ** (იყო ვერსიაც – ბურთს არტყმევინებდნენ კარში). **2. პეტრემ იკითხა – „ვინ არიან თქვენი მეგობრებიო"** (ვერსიები: – „ვინ მართავს სახელმწიფოს", „ვინ ასახელა", რჩევა ჰკითხა) **3. ედისონმა თითში ნემსი იჩხვლიტა** (ვერსიები: – დენმა დაარტყა, სმენა დაუქვეითდა, ხმა წაერთვა და ა.შ.).

ტურში მონაწილეობა მიიღო 13 პიროვნებამ; სამივე კითხვას ზუსტი პასუხი გასცა მხოლოდ ვახტანგ გაფრინდაშვილმა; ექვსმა პიროვნებამ 2-2 პასუხი ამოიცნო.

თვენ უკვე შეგიძლიათ მიიღოთ 4 ტურში დაგროვილი თანხა ან გადაავადოთ მისი მიღება 8, 12 თუ მეტი ტურის შემდეგ (თანხის მიღების მსურველებს ვთხოვთ დაგვიკავშირდნენ).

**სატურნირო მდგომარეობა ოთხი ტურის შემდეგ (ფრჩხილებში მითითებულია დარიცხული თანხა):**

**9 ქულა**: სოფიკო ღუნდუა (11,70)

**6 ქულა:** ვახტანგ გაფრინდაშვილი (11,70), ვაჟა პაპუაშვილი (1,70), გიორგი გვასალია (1,70)

**5 ქულა**: დიანა საღრიშვილი (1,70), პაატა თალაკვაძე (1,70), გია ჯვარშეიშვილი (1,70), ილია შარიქაძე (1,70)

**4 ქულა:** გელა ქველიძე, ბაჩანა შენგელია

3-3 ქულა: რომან ქევანიშვილი (1,70), ზურა წერეთელი (1,70), თეა კირთაძე (1,70), ზურაბ მჭედლიშვილი (1,70), დათო გოგოჭური, ვასილ ბაჩიაშვილი, დათო ჭილიტაშვილი.

2-2 ქულა: ნონა კანდელაკი, ნინო გოგიჩაიშვილი, ნიკოლოზ დანდლიშვილი, თამარ დამენია, შოთა მესხია, გია ბაღაშვილი, ვახტანგ ნოზაძე.

1 ქულა: ნათია ბაიაშვილი, გიორგი პაპუაშვილი

(**დამატებითი წახალისება:** ყოველი 12 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზე მყოფი მონაწილე დაჯილდოვდება დამატებითი 10 ლარით და ხელახლა დაიწყება ქულების დაგროვება).

### მეხუთე ტურის კითხვები

პირველი კითხვა

*ყურადღება ანეკდოტი:*

ერთხელ გზად ორი ფსიქოანალიტიკოსი მიდიოდა და გზისპირას შენიშნეს ერთი მხეცურად ნაცემი, მთლად გაძარცვული და ძლივს მსუნთქავი ადამიანი...

**რა უთხრა ერთმა ფსიქოანალიტიკოსმა მეორეს?**

მეორე კითხვა

*ამ კითხვაზე პასუხის გაცემა საბჭოთა ეპოქაგამოვლილ ადამიანებს არ გაუჭირდებათ, ანუ:*

დაასრულეთ ქალაქ სამარაში გავრცელებული პოპულარული სასიმღერო სტროფი:

**Родился ребенок зимой или летом,**

**Первых два слова ...**

მესამე კითხვა

ერთი ამერიკელი მეცნიერის აზრით, შექსპირთან ერთად ერთ დროში ცხოვრობდა შემოქმედი, რომელმაც დაწერა ნაწარმოები სათაურით „ვირი – სახელად ხოტი".

**ვინ იყო ეს მწერალი? პასუხი დასაბუთებას საჭიროებს...**

# უბრალოდ კროსვორდი



1. (თარ.) ერთ-ერთი იმ სიტყვათაგანი, რომელიც შეისისხლხორცეს ჩვენგან ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა. 1. (შვ.) ძვ. ბერძნული მითოლოგიის ქალღმერთი, რომელიც სასწორითა და თვალებზე აფარებული ნაჭრით გამოისახება. 2. ასკეტური ცხოვრების აღქმადადებული ქალი. 3. არგუმენტის ნაზრდის სახელწოდება მათემატიკაში. 4. ორნამენტის შექმნის ხერხი, რომლის დროსაც ხდება სხვადსხვა ფერის ნაკუწების დაკრობა ქაღალდზე. 5. სხვისი გამოგონების მიმთვისებელი პირი. 6. მიბაძვა – არაჩვენებურად. 7. მდინარე ინდოეთ-პაკისტანში. 8. ტექსტის ნაწილი. 9. რა შეიძლება ეწოდოს პირს, რომელიც სათევზაოდ ანკესის ნაცვლად დინამიტით დადის? 10. მფრინავი, ისევ არაჩვენებურად. 11. (ბატონი) ვეკუა, დიდი ქართველი მათემატიკოსი. 12. (ბატონი) აბაშიძე, თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთი ცნობილი პიროვნება. 13. შილინგის მე-12-დი ნაწილი. 14. საპროტესტო გამოსვლა. 15. თირკმელქვეშა ჯირკვლის მიერ გამომუშავებული ნივთიერება. 16. მოხეტიალე მღვდელი. 17. დისციპლინის დარღვევა. 18. ერთგვარი ამალა. 19. ქალაქი, რომლის აღებამაც ნაპოლეონს გზა გაუხსნა მოსკოვისაკენ. 20. მეცნიერება ძაღლების შესახებ. 21. ჩინეთის ქალაქ კულჯას ყოფილი სახელი. 22. მდგრადობა ცხოვრების უბედურ პერიოდში, ანუ გაჭირვების დიდი ამტანობა. 23. კესოზე უბედურად გამიჯნურებული. 24. Deep-blue-ს მიერ დამარცხებული სპორტსმენი. 25. ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი გენიოსი. 26. ცხინვალის ძველი სახელწოდება. 27. მიწისძვრის 12 ბალიანი შკალის შემქმნელი ამერიკელი მეცნიერი. 28. დაქირავებული მუშა. 29. პირი, რომელიც რაიმე თანამდებობისათვის იბრძვის. 30. რაიონი, ოლქი.... კიდევ? 31. წოდება, რომელსაც ათეულობით მილიონი ადამიანი ატარებდა ახლო წარსულში. 32. დედამიწის განივი წარმოსახვითი წირი. 33. ვინ იყო არტურ შოპენჰაუერი ეროვნებით? 34. ცნობილი იტალიელი კინოკომიკოსი. 35. გერმანიის საფეხბურთო კლუბი. 36. ძველებური რუსული ოქროს მონეტა. 37. თავბრუ, ანუ რა? 38. მატერიის მახასიათებელი ძირითადი ფიზიკური პარამეტრი. 39. რაციონალური, მომჭირნეობითი, ანუ როგორი? 40. ცოცხალი სხეული. 41. ტენესი უილიამსის შემოქმედებაში ამ სატრანსპორტო საშუალებას სახელად რატომღაც „სურვილი" ჰქვია. 42. სილამაზის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში. 43. სამკურნალო ბალზამის „ნათლია". 44. სისხლძარღვი. 45. სამკურნაო დაწესებულება. 46. თანამდებობა ძველ რომში. 47. საპროტესტო გამოსვლის ჩასახშობი ქმედება. 48. ცრუ დაპირებებით მოტყუება. 49. კულინარიაში ხმარებული სითხე, რომელსაც ჩინელები, რატომღაც, „უკვდავების წყალს" უწოდებენ. 50. მაცივრების „ნათლია" მდინარე რუსეთში. 51. ხელოვნების ჟანრი, რომლის მამამთავარიც იმრე კალმანი გახლდათ. 52. გერმანიის საფეხბურთო კლუბი. 53. თეატრალური წარმოდგენა. 54. (........) კაასი, თანამედროვე ფრანგი მომღერალი ქალი. 55. ქალაქი ყირიმის ნახევარკუნძულზე, რომელიც რამოდენიმე თვის განმავლობაში ალყაში ჰქონდათ მოქცეული გერმანელებს. 56. წარმოდგენა, რომლის ყურებისას, მეცნიერთა გამოკვლევით, ადამიანის გუგები 2,5-ჯერ ფართოვდება. 57. მცენარე, რომელსაც კარლ ლინემ „ღმერთების სასმელი" უწოდა. 58. წონასწორობის მდგომარეობიდან უდიდესი გადახრა. 59. სანათი საშუალება. 60. შურისძიებისა და ნგრევის ქალღმერთი ინდუიზმში. 61. ხამანცკაც, რვაფეხაც. 62. ორგანიზმის უნარი შეინარჩუნოს მუდმივი ტემპერატურა. 63. უმსგავსო, უშნო, საზიზღარი... კიდევ? 64. ხის ცხენით დაპყრობილი ქალაქი. 65. ავტომობილისათვის აუცილებელი სითხე. 66. ერთ-ერთი უმარტივესი ორგანიზმის მქონე არსება. 67. სახალხო გამოკითხვა. 68. რა შეიძლება ეწოდოთ ერთად ჯაყო ჯივაშვილს და მის ნათესავებს? 69. დოკუმენტის მეორე პირი. 70. ვინ არის გია თორთლაძე (ქართული ტერმინი). 71. ფრანც კაფკას რომანი. 72. ქიმიური ნაერთი. 73. ის, რასაც საგზაო პოლიციელები არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის სხეულში ეძებენ. 74. საქართველოს საკალათბურთო კლუბი. 75. რაიმესაგან გამოყოფა. 76. რწმენა, ანუ რა? 77. ცეცხლი უკიდია, სინათლეს ასხივებს, ანუ..... 78. ცხოველი, რომელმაც ერთ ზღაპარში ორი მდედრობითი სქესის ადამიანი შეჭამა. 79. ავსტრიის ოლქი. 80. მდინარე საქართველოში. 81. კეთილი არსება ზღაპრებში. 82. პოპულარული რუსული ჟურნალი. 83. მაუგლის მეგობარი. 84. დაბა ახალციხის რაიონში. 85. დაასრულეთ თანამედროვე ამერიკელი მწერლის მორტ სალის პარადოქსული სიტყვები: ორმოციან წლებში, იმისათვის რომ დაგეპყრო ქალი, უნდა ყოფილიყავი ჯარისკაცი; ორმოცდაათიან წლებში – ებრაელი; სამოციან წლებში – ზანგი; დღეს კი, იმისათვის რომ დაიპყრო ქალი უნდა იყო....... 86. რაიმე ნიშნების მიხედვით დანაწილება. 87. ერთგვარი ჭურჭელი. 88. რა არის ანოფელესი თავისი არსით? 89. ცნობილი ქართველი თეატრალური მოღვაწე. 90. ჭეშმარიტების წვდომის ერთ-ერთი ხერხი ბუდისტების თანახმად. 91. იტალიელი მსახიობი, მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში „ცხოვრება მშვენიერია".

შეადგინა
გოგა ტარიელაშვილმა

*მსოფლიო კინოს 50 ქალღმერთი*

*გამოშვება №6*

# ნიკოლ კიდმანი



## Nikole Kidman

**დაიბადა 1967 წლის 20 ივლისს სრული სახელი და გვარი — ნიკოლ მარი კიდმანი**

ბევრს ჰგონია, რომ ნიკოლ კიდმანი ავსტრალაიში დაიბადა, ეს არ არის სწორი – იგი ჰავაიზე, ჰონოლულუში მოევლინა ქვეყნიერებას, სადაც იმხანებში მამამისი მსახურობდა. ამიტომაცაა, რომ ნიკოლ კიდმანს, როგორც „შტატებში" დაბადებულს, ორმაგი მოქალაქეობა აქვს, როგორც აშშ-სი, ასევე ავსტრალიისა, სადაც მათი ოჯახი, ნიკოლის დაბადების მომდევნო სამი წლის ვაშინგტონში ცხოვრების შემდეგ, გადაბარგდა. „მწვანე კონტინენტზე" ისინი სიდნეის გარეუბანში დასახლდნენ. მაშინ ნიკოლი 4 წლის იყო და მშობლებმა იგი საბალეტო სტუდიაში მიიყვანეს. იქ მისი უფროსი დაც, ანტონიაც, დადიოდა, მაგრამ მასთან შედარებით ნიკოლი უფრო მეტ გულმოდგინებას იჩენდა და თავიდანვე ჩანდა, რომ იგი მტკიცე ნებისყოფის, მიზანდასახული პიროვნება გაიზრდებოდა. 6 წლის ასაკში მან უკვე მოახერხა და, ასაკის სიმცირის მიუხედავად, თავი მიაწვევინა სასკოლო თეატრში, სადაც მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, როგორც ამბობენ, პრიმა-მსახიობი იყო, თუმცა ამავე დროიდან გაჩნდა მის ცხოვრებაში ერთი „პრობლემა", რაც განსაკუთრებით უშლიდა ხელს მას, როგორც პატარა მსახიობს, შემდგომი კარიერის გაგრძელებაში და ეს მისი სიმაღლე იყო – 13 წლის ასაკში იგი უკვე 170 სანტიმეტრი სიმაღლის იყო (ამჟამად ნიკოლის სიმაღლე 180 სანტიმეტრია). გამხდარი და აწოწილი გოგონა უკვე ველარ ხიბლავდა მისი სკოლის მომთხოვნ მაყურებელს. ამას ისიც დაერთო, რომ ერთხელ სცენაზე, როლის განსახიერებისას „განხორციელებულმა" კოცნამ მშობლების უკმაყოფილება გამოიწვია და მას სამუდამოდ აუკრძალეს სცენაზე და მსახიობობაზე ფიქრი; თუმცა ნიკოლი იმედს მაინც არ კარგავდა და მთელი შეგნებით ემზადებოდა მომავალი არტისტული კარიერისათვის, რაც თითქმის ოთხი წლის განმავლობაში მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ იგი პროფესიონალური თეატრების სპექტაკლებს ესწრებოდა.

1981 წელს მოსახდენი მაინც მოხდა და 14 წლის ნიკოლ კიდმანი ერთ სატელევიზიო ფილმში მის თანატოლ პეტრას როლზე მიიწვიეს. დებიუტი იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ მომდევნო ორი წლის განმავლობაში მას უკვე ხუთ სხვადასხვა ჟანრის სატელევიზიო ფილმში მოუხდა მონაწილეობის მიღება და, თქვენ წარმოიდგინეთ, მისი ალნაგობისა და საოცრად გაფშეკილი თმების პატრონს მომხიბლავი გოგონების როლებსაც კი სთავაზოდნენ, რომელთა შორის ერთი კარატეს ოსტატიც კი იყო.

მომავალი პროფესიონალი მსახიობის კარიერაში გადმწყვეტი მაინც 1987 წელი აღმოჩნდა, როცა მას ფილმ **THE BIT PART**-ში მონაწილეობამ საკუთარი აგენტი გაუჩინა, რომელმაც იკისრა ნიკოლ კიდმანის საერთაშორისო ასპარეზზე გაყვანა. მსახიობი იგონებს: „ეს ფილმი ჩემთვის მართლაც გადამწყვეტი აღმოჩნდა; მე ვიცოდი, რომ ან უნდა გამემარჯვა, ან სამუდამოდ დავშორებოდი მსახიობობაზე ოცნებას. გადაღებები გათენებიდან დაღამებამდე მიმდინარეობდა, ფილმი ორ კვირაში მზად იყო და მე მივხვდი, რომ გამოცდას გავუძელი!.." თუმცა ამის შემდეგ მაინც 12 თვიანი პაუზა დადგა, ნიკოლს ეჭვიც კი შეეპარა საკუთარ თავში, ამ ეჭვებისაგან თავის დაღწევის მიზნით იგი ამსტერდამშიც კი გაეპარა მშობლებს თავის „ბოი-ფრენდთან" ყოფნის სურვილით, მაგრამ იგი ახსოვდათ რეჟისორებს და ამიტომაც მიიწვიეს მთავარ როლზე გახმაურებულ სერიალში „ბანგკოკ ჰილტონი", სადაც მან დიდებულად ითამაშა ნარკომაფიის უნებლიე მსხვერპლის როლი; ეს უკვე პირველი ნაბიჯი იყო ვარსკვლავობისაკენ, თუმცა ჰოლივუდისაკენ გზა მას მაინც „ფლირტმა" გაუკვალა. ყოველივე ამას არანაკლები მნიშვნელობის ნაბიჯი დაერთო, როცა იაპონიაში გამართულ ფესტივალზე თავად ტომ კრუზმა ისურვა მასთან დაახლოება!... ამ დაახლოების შედეგი პრაქტიკულად ყველასათვის ცნობილია – დღეს ნიკოლის და ტომის „ვარსკვლავური ოჯახი" ერთი-ერთი იმ გამონაკლისთაგანია, რომელსაც „თავქარიან მსახიობთა სინდრომი" არ ემუქრება. ნიკოლი იგონებს: „ჩვენ რომ დავქორწინდით, პირობა დავთქვით, რომ არასოდეს დავშორდებოდით ერთმანეთს ორ კვირაზე მეტი დროით, რაგინდ მნიშვნელოვანი გადაღებებითაც არ ვყოფილიყავით დაკავებულნი..." და მათ ეს პირობა დღემდე არ და ურღვევიათ. ამჟამად მათს ოჯახში იზრდება ორი შვილი, ენტონი და იზაბელ ჯეინი, გარდა ამისა ისინი მრავალ უპატრონო ბავშვსაც უწევენ მფარველობას.

ამ ორი ცნობილი მსახიობის დუეტი კი მრავალი ფილმის წარმატებული მსვლელობით დადასტურდა, რომელთა შორის მაინც ფილმი „შორს და გადაკარგულში" **(FAR AND AWAY)** უნდა დავასახელოთ. თუმცა მისი პარტნიორები, საკუთარი მეუღლის გარდა, სხვა ცნობილი მსახიობებიც ყოფილან, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ თავად დასტინ ჰოფმანი (მათ ერთად ითამაშეს ფილმში „ბილი ბეტგეიტი"); ნიკოლის სიმაღლე ახლა უკვე თვალში საცემი აღარ იყო და თავად მსახიობი ხალისითაც კი იხსენებს იმ ფაქტს რომ იგი ჰოფმანზე ოთხი ინჩით (დაახლ. 12 სანტიმეტრით) მაინც იყო მაღალი, რაც ძალზედ მოსწონდა დასტინს და კარგ ემოციებსაც აღუძრავდა მას.

**FILMOGRAPHY**

**1983 BMX BANDITS**
**1983 BUSH CHRISTMAS**
**1985 CHASE THROUGH THE NIGHT**
**1985 WILLS AND BURKE—THE UNTOLD STORY**
**1986 WINDRIDER**
**1987 THE BIT PART**
**1988 WATCH THE SHADOWS DANCE**
**1989 DEAD CALM**
**1989 EMERALD CITY**
**1990 DAYS OF THUNDER**
**1990 FLIRTING**
**1991 BILLY BATHGATE**
**1992 FAR AND AWAY**
**1993 MALICE**
**1993 MY LIFE**
**1995 BATMAN FOREVER**
**1995 TO DIE FOR**
**1996 THE PORTRAIT OF A LADY**
**1997 THE PEACEMAKER**
**1998 PRACTICAL MAGIC**

დღეს ნიკოლ კიდმანი იმდენად ჩამოყალიბდა, როგორც მსახიობი, რომ უკვე ძალუძს საშუალო ღირსებების ფილმიც კი მოვლენად აქციოს მხოლოდდამხოლოდ თავის მონაწილეობით და ეს არ არის შედეგი იმგვარი უნარისა, რაც თუნდაც შერონ სტოუნს ახასიათებს, რომელსაც საკუთარი სექსუალური ეპატაჟით გაოგნებამდე შეუძლია მამაკაციების მიყვანა.

